შეჯიბრების ორგანიზაციამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა შორის ეკონომიურ დარგში.

ვ. ი. ლენინი.

ახლოვდება საბჭოთა საქართველოს 45 წლისთავი

ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ ამ ფაქიმს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი.
№ 41 (18485)

პარასკევი, 18 თებერვალი. 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

ლენინის მიერ მითითებული გზით

ვ. მჭავანაძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

არის ქვეყნად ფოლადზე მტკიცე შენადნობი. ამ შესანიშნავი შენადნობის სახელია მეგობრობა. საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა, ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ძმური კავშირი დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძველია.

კომუნისტური პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომლის მიზანია გეგმაზომიერად ვითარდებოდეს ყველა მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს კავშირი მათ შორის, შედეგად მოჰყვა სოციალისტური საქართველოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნამდვილი აყვავება. მისი დღევანდელი დღე რეალური განხორციელებაა ჩვენი ხალხის საუკუნოვანი იმედებისა, ტრიუმფია ლენინური მოძღვრებისა, რომელიც გამსჭვალულია კეთილშობილური მიზნით დაამკვიდროს საზოგადოებაში სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის პრინციპები.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ხალხთა მეგობრობას, მიაჩნდა იგი „ეროვნული საკითხის პროლეტარულ გადაწყვეტად". აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი წერილში ვლადიმერ ილიას-ძე წერდა: „მხურვალედ მივეალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს".

დიდი ბელადისა და მასწავლებლის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ახდა. და ამის საუკეთესო დადასტურებაა ჩვენი საქმეები, მთელი ჩვენი ცხოვრება. 25 თებერვალს 45 წელი უსრულდება საბჭოთა საქართველოს — ორმოცდახუთი წელი იმ ღირსსახსოვარი დღიდან, როცა საქართველოში ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა აფრიალდა. ამ წლების მანძილზე განვლილ გზას თვალს რომ ვავლებთ, შეგვიძლია სრული საფუძვლითა და სიამაყით ვთქვათ: ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც გულდაჯერებით და მტკიცედ მიდიან დიდი ლენინის მიერ მითითებული გზით.

მიმდინარე წელს რესპუბლიკა თავისი დაბადების დღეს აღნიშნავს უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისათვის მზადებით, იმით, რომ რესპუბლიკა დაჯილდოებულ იქნა მეორე ლენინის ორდენით, რომელიც მას მიეკუთვნა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა, დიდი ინტერნაციონალური კავშირის მხარეა. აქ ქართველებთან, აფხაზებთან და ოსებთან ერთად ცხოვრობენ და შრომობენ რუსები და უკრაინელები, სომხები და აზერბაიჯანელები, ესტონელები და მოლდაველები, ბერძნები და ლატვიელები. იშვიათად თუ მოინახება ჩვენში ოდესმე თუ ბევრად დიდი საწარმო, დაწესებულება, საბჭოთა მეურნეობა, რომელშიც მხარდამხარ არ მუშაობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. მრავალეროვნული ბრიგადები, საამქროები, ცვლები საერთო ღონისძიებებით აღწევენ შრომითს გამარჯვებებს.

საქართველო თანაბარი საბჭოთა რესპუბლიკების თანავარსკვლავედში მტკიცედ მიდის აყვავებისა და ბედნიერების გზით, წარმატებით უახლოვდება სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს.

ჩვენი კომუნისტური პარტია ძლიერია მარქსიზმ-ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით. დიადი ლენინური იდეებით ხელმძღვანელობდა იგი ოქტომბრის დღეებში, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ამ იდეებით ხელმძღვანელობს იგი ამჟამადაც, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. აერთიანებს რა მილიონობით ადამიანთა შემოქმედებითს ენერგიას, პარტია რაზმავს და აღაფრთოვანებს მათ, უზრუნველყოფს საბჭოთა საზოგადოების განუწყვეტელ პროგრესს. მას ღრმად სწამს ხალხის მძლავრი შემოქმედებითი ძალა, გამოხატავს მის ძირეულ ინტერესებს და მისდამი სამსახურში ხედავს მთელი თავისი საქმიანობის აზრს.

მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, მისი მონოლითური ერთიანობისადმი, იდეური და ორგანიზაციული შეკავშირებისადმი ჩვენი პარტიის ურყევი ერთგულების ახალი დიდმნიშვნელოვანი დადასტურება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის (1964 წელი), მარტის, სექტემბრისა და დეკემბრის (1965 წელი) პლენუმები. პარტიამ გადაჭრით დაგმო სუბიექტივიზმი, პროდექტორობა, სინამდვილის რეალური პირობების უგულებელყოფა. კომუნისტური მშენებლობა ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა, იგი ვერ ითმენს ნაჩქარევ დასკვნებსა და მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს, ბაქიობასა და ლაყბობას. მასების პრაქტიკული გამოცდილების, ხელმძღვანელობის ნებისმიერი მეთოდების უგულებელყოფას. პლენუმების გადაწყვეტილებებში გამდიდრდა და განვითარდა ჩვენი პარტიის კურსი — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კურსი, რომელიც განსაზღვრულია სკკპ XX-XXII ყრილობების მიერ პარტიის პროგრამით.

განუხრელად ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადწყვეტილებებით, საქართველოს მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწევიან კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. გადადგმულია ახალი დიდი ნაბიჯი მრეწველობისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მათი სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების გზაზე.

მიღწეულ წარმატებათა სიმაღლიდან ნათლად ჩანს შესანიშნავი გარდაქმნები, რომლებიც რესპუბლიკაში მოხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს მოუტანა ყველაფერი, რაზეც იგი ესოდენ მხურვალედ და მგზნებარედ ოცნებობდა. ხოლო ოცნებობდა იგი იმაზე, რომ უკეთესი ხვედრი, ბედნიერება ჰქონოდა მშობლიურ მიწა-წყალზე. მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხი გმირულად იბრძოდა თავისი ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მამაცსა და ამაყს, მას არა სურდა ეცხოვრა მონობაში, უდრტვინველად ეზიდა უუფლებობისა და ჩაგვრის სამარცხვინო უღელი. საქართველოს მშრომელი ხალხი ოცნებობდა ნათელ დღეებზე, როცა მას აღარ მოუხდებოდა განეცადა სიძნელეები და გაჭირვება, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრივ და სამეურნეო დაქუცმაცებასთან, უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელ შემოსევებთან. მას სწყუროდა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მისი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის სრულ აყვავებას. და ყველაფერი ეს ქართველ ხალხს მოუტანა ოქტომბერმა, რომლის ჩაუქრობელი შუქი მას კომუნისტური მომავლის გზას უნათებს.

ხალხთა ძმურ ოჯახში, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით გარემოსილი, საქართველო — წარსულში მეფის რუსეთის აგრარული განაპირა კუთხე — სავსებით გარდაიქმნა, გადაიქცა მოწინავე მრეწველობისა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე აყვავებულ რესპუბლიკად. გაიფურჩქნა ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურაც.

რესპუბლიკის მრეწველობა ახლა კვირაში იმდენ პროდუქციას იძლევა, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი წლის მანძილზე მზადდებოდა. რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდნენ ახალი სამრეწველო ცენტრები: რუსთავი, მადნეული, კვაისა... გაიზარდა ინდუსტრიის ახალი გიგანტები: ელმავალსამშენებელო ქარხანა და ჩარხსამშენებელო ქარხანა თბილისში, მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი რუსთავში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, გორის ბამბეულის კომბინატი და მრავალი, მრავალი სხვა. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის კარგი სახელი შორს გასცდა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს. საკმარისია ითქვას, რომ იგი საზღვარგარეთის 65 ქვეყანაში იგზავნება.

ჩაი, თამბაქო, ღვინოები და კონიაკები, მარგანეცის მადანი ჩვენი რესპუბლიკისათვის ექსპორტის ტრადიციული სახეებია. მაგრამ უკანასკნელ წლებში საექსპორტო ასორტიმენტში მკვეთრად გადიდდა მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრითი წონა. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ საქართველოდან იგზავნება მძლავრი სამაგისტრალო ელმავლები, სატვირთო ავტომობილები, გემები და კატერები, ელექტროხელსაწყოები, არტეზიული ტუმბოები და მაღაროს ელმავლები, მიწამწოვი დანადგარები და ელექტროკარები, სხვადასხვა აპარატურა, ზუსტი ხელსაწყოები.

ეს წარმატებანი ქართველმა ხალხმა იოლად როდი მოიპოვა. ამისათვის მოუხდა გადაელახა მრავალი სიძნელე, ნგრევა, რაც მას მემკვიდრეობად დარჩა მენშევიკების ბატონობის შემდეგ.

საქართველოს მშრომელები კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ შეუდგნენ ინდუსტრიის შექმნას. ახალგაზრდა რესპუბლიკას ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი და პირველ რიგში რუსი ხალხი. ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე დროს საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში, მისი პირდაპირი მითითებით გამოუყო საქართველოს რესპუბლიკას სახსრები ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. ეს იყო პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა საქართველოში და მეორე სადგური ჩვენს ქვეყანაში, აგებული ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის მიხედვით.

მას შემდეგ საქართველოში აშენდა ათობით ელექტროსადგური — დიდი და პატარა. საიენებით მათ მაცოცხლებელი ენერგია მიაწოდეს საწარმოებსა და მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ილიჩის ნათურები აენთო ყველაზე შორეულ და მაღალთიან სოფლებშიც კი, მათ ახალი ცხოვრების შუქი და კულტურა მიიტანეს თვითეულ სახლში.

ელექტროენერგიის მძლავრი ძალა ამუშაკებს პირველხარისხოვან ტექნიკას ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ქვანახშირის შახტებში, ჭიათურის მაღაროებში. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ენერგეტიკოსებმა და მშენებლებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს: რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ამუშავდა მეტროპოლიტენის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სტატია გადმოგებეჭდილია ჟურნალ „კომმუნისტ"-იდან

КОММУНИСТ № 2 1966 г.

ბუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს ალკკ XXII ყრილობამ. სურათზე: ყრილობის სხდომათა დარბაზში.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს კომკავშირის XXVI ყრილობა

დღეს საქართველოს ახალგაზრდობის დიდი ზეიმია — გაიხსნა რესპუბლიკის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXVI ყრილობა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ისინი, ვინც თავდადებული შრომით ასახელებს ჩვენს დიად სამშობლოს. ახალგაზრდობა ყრილობაზე შეიკრიბა, რათა პარტიას და ხალხს უპატაკოს, თუ რა წვლილი შეიტანეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა იმ წარმატებებში, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს ნათელი კომუნისტური მომავლის მშენებლობაში.

საქართველოს სს რესპუბლიკას მიენიჭა მთავრობის საპატიო ჯილდო — მეორე ლენინის ორდენი, ჭიათურელ მაღაროელთა თავდადებული შრომა აღინიშნა ლენინის ორდენით, ლენინის ორდენმა დაამშვენა დროშა „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოსი, რომელსაც შეფობას უწევს ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირი. ყველა ამ სახელოვან საქმეში დიდია საქართველოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომითი წვლილი. ახალგაზრდები აშენებენ კაშხალებს, გაჰყავთ მიწისქვეშა მაგისტრალები, დგანან ჩარხებთან, ქმნიან სახალხო ოდესოს, ემსახურებიან საბჭოთა ადამიანების სულიერ აღზრდას, ალამაზებენ მათს შრომასა და ყოფაცხოვრებას.

დილის 10 საათზე საქართველოს კომკავშირის XXVI ყრილობა გახსნილად გამოცხადდეს.

გაიხმის საზეიმო მარში, და დარბაზში შემოაქვთ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის დროშა. დროშის შემოტანის საპატიო უფლება დაიმსახურეს საქართველოს კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლებმა — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადემ ო. ა. ლომიძემ, სამხედრო მოსამსახურემ, სამრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულმა ნ. ბ. შარიამ, მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის ბ. ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ პ. ვ. ნაცვალაძემ, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ბ. რ. სალარაძემ.

სამეიან პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები მ. ი. კუპაკა, ბ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტუბა, რ. ი. შაქიძე, შ. ი. ბაანუკაძე, ბ. ი. ჭოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩიკოდზია, ა. ნ. ინაური, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე მ. ა. გოგიჩაიშვილი, ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი თ. ა. სტეპანენკო, ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი დ. ა. დრაბუნსკი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ა. დ. ალეკსიძე, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა მ. გ. ანიკაშვილი, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდრაკში ნ. ტ. ბაფრინდაშვილი, დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის მწყემსი ა. ა. ბიბაური, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. ა. გოგიტიძე, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ა. მ. კაკაულია, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ა. კიანაველიძე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი ე. ა. კილასონიძე ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშირული მუშაობის დარგში ვ. ი. კოლიადენკო, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის გვირაბგამყვანი ზ. ს. პაპიძე, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კოლმეურნეობის მევენახე ნ. ს. თეთრაშვილი, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები.

შემდეგ აირჩიეს ყრილობის სხვა ხელმძღვანელი ორგანოები — სამდივნო, სამანდატო და საარედაქციო კომისიები.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ყრილობას ესწრებიან ამერიკავკასიის მოძმე რესპუბლიკათა ახალგაზრდობის წარმომადგენლები — აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დელეგაციები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა.

მტკიცდება ყრილობის რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში
2. საქართველოს კომკავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. არჩევნები:
   ა) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა;
   ბ) საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიისა;
   გ) სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობის დელეგატებისა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ე. ჩიჩიკოზიამ.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ზ. მ. ბილასურმა.

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. დ. გაბუნიამ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადემ ო. ა. ლომიძემ, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. მ. ხინბამ, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ზ. მახარობლიშვილმა, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. შ. იმედაძემ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა დ. ა. დრაბუნსკიმ, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. მ. სარიშვილმა, საქართველოს სახპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ ბ. ვ. სიხარულიძემ.

ყრილობის დელეგატებს მიესალმნენ თბილისელი პიონერები.

ამით დამთავრდა ყრილობის დილის სხდომა.

ყრილობის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობდნენ კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ა. სანაკოევი, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ზ. ბოგორიშვილი.

ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. გვერდწითელმა.

საქართველოს კომკავშირის ყრილობამ მიიღო მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც წაიკითხა თბილისის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ც. ლ. კოჩიჩაშვილმა.

გრძელდება კამათი მოხსენებათა გამო. გამოვიდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. ნადარეიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ა. ფოფხაძე, კომკავშირის გარდაბნის რაიონის პირველი მდივანი ც. ლ. მოსიძე, ენგურჰესის მშენებლობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ა. მ. კაკაულია, კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. ა. გურული, დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის მწყემსი ა. ა. ბიბაური, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. ა. ქვლივიძე, კომკავშირის თელავის რაიონის პირველი მდივანი ა. შ. ქემაშვილი, კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ვ. ჯამიერაშვილი.

18 თებერვალს რესპუბლიკის კომკავშირის XXVI ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

გაიხსნა მოსკოვის საოლქო პარტიული კონფერენცია

მოსკოვი, 17 თებერვალი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა მოსკოვის საოლქო პარტიული კონფერენცია.

პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სკკპ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კონოტოპმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. პირადოვი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები ვ. ვ. გრიშინი და პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი.

ლენინის მიერ მითითებული გზით

(დასასრული)

პირველი რიგი. მიწის ქვეშ ამოქმედდა რთული და მძლავრი ენერგეტიკული მეურნეობა. ძველი, მაგრამ მარად ახალგაზრდა ქალაქის მცხოვრებლებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი, რომელიც მოწმობს, რომ კვლავაც წარმატებით ხორციელდება ელექტროფიკაციის ლენინური იდეა.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა ცხრაჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლევა, ვიდრე ჩვენი მეზობელი თურქეთი, თუმცა ამ უკანასკნელის ტერიტორია თერთმეტჯერ აღემატება საქართველოს ტერიტორიას.

უკანასკნელ წლებში საქართველოში სწრაფი ტემპებით ვითარდება მრეწველობის ისეთი ახალგაზრდა დარგები, როგორიც არის ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, ქიმიური მრეწველობა. ამუშავებულია ახალი სიმძლავრეები შავ მეტალურგიაში, ქიმიურ, მსუბუქ და კვების მრეწველობაში. გასულ შვიდწლედში კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებულ იქნა ორნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი. უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ეს ციფრი, ვიტყვით: იგი მნიშვნელოვნად აღემატება ერთად აღებული მეოთხე და მეხუთე ხუთწლედების კაპიტალურ დაბანდებათა თანხას.

საქართველოს მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს შვიდწლედის დავალებანი თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ელმავლების წარმოების დარგში. ამ წლების მანძილზე ათვისებულ იქნა ბევრი სახეობის ახალ ნაკეთობათა გამოშვება, ამუშავდა ორასზე მეტი სამრეწველო საწარმო და საამქრო. მათგან უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ ისეთებს, როგორიც არის ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური, ხრამის ჰესი-2, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ახალი ბლოკები, ჰიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი დამყვანი ფაბრიკა, მძლავრი დახურული ელექტროღუმელები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნები თბილისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში.

მრეწველობის სწრაფ ზრდას ხელს უწყობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება, ის ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება მრეწველობის მართვის გაუმჯობესებისათვის, სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის. რესპუბლიკაში შეიქმნა და მუშაობას შეუდგა სამინისტროები, რომლებმაც შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითეული საწარმოს რიტმული, შეწყობილი და ზუსტი საქმიანობის კურსი აიღეს. მოსკოველთა და ლენინგრადელთა მაგალითისამებრ მომჭირხეობისა და ყაირათიანობისათვის ლაშქრობაში სულ ახალი და ახალი კოლექტივები ებმებიან. ისინი ითვალისწინებენ რეალურ შესაძლებლობებს და კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს. იბრძვიან იმისათვის, რომ ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულონ ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

მრეწველობის წინაშე კი წელს სერიოზული ამოცანები დგას. სამრეწველო წარმოების საერთო ზრდამ დაახლოებით ათი პროცენტი უნდა შეადგინოს. ახალ, უფრო პასუხსაგებ ზღუდეებზე გავა ჩვენი ეკონომიკის ყველა დარგი. მაგალითად, ელექტროენერგიის წარმოება ხუთწლედის დამლევისათვის 1965 წელთან შედარებით 82,6 პროცენტით გაიზრდება. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის — ამ უნიკალური ენერგეტიკული ნაგებობის პირველი აგრეგატი.

შემდგომ განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია, ქვანახშირის, ქიმიური და მანქანათსამშენებლო მრეწველობა, კაპიტალური და საბინაო მშენებლობა. და ეს ამოცანები, უეჭველია, გადაიჭრება, ვინაიდან რესპუბლიკაში გაიზარდნენ გამოცდილი კადრები, თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები. ხალხი სამართლიანად ამაყობს მეფოოლადე ამირან ფანცულაიას, ავტომობილმშენებელ იოსებ ხაზარაძის, მაღაროელ პეტრე გოგატიშვილის, ელმავალმშენებელ ირაკლი გელაშვილის, მნგრეველ მიხეილ ბიგვავას, ხისდამმუშავებელ ვასილ ბოროდავკას, ხარატ მირდატ აკოფოვის და ათასობით სხვა ნოვატორთა სახელებით.

მეორე ლენინის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია რესპუბლიკა, — არის მუშათა კლასის, კოლმეურნეგლეხობის. ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის თავდადებული შრომის დაგვირგვინება. შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეიტანეს, კერძოდ, მეჩაიეებმა და მევენახეებმა, მეცხოველეებმა და მეციტრუსეებმა, მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა — სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა გადაწყვეტილებანი მობრუნების პუნქტი გახდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. დაგეგმვის ახალმა წესმა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების გადიდებამ, სამეურნეო ანგარიშის და მატერიალური სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვამ — ყოველივე ამან აღაფრთოვანა სოფლის მშრომელები, განუმტკიცა მათ თავიანთი ძალების რწმენა, გააძლიერა ინიციატივა და აქტიურობა.

ამ დღეებში სოფლის მშრომელები მუშაობენ კარგი განწყობილებით, როგორითაც წინათ არასოდეს არ უმუშავიათ. ისინი ემზადებიან გაზაფხულისათვის, ამზადებენ ტექნიკასა და სათეს მასალას, იღებენ ზომებს იმისათვის, რომ სანიმუშოდ, ცხოველთა პროდუქტიულობის შეუმცირებლად გამოაზამთრონ პირუტყვი.

ნიადაგისა და ჰავის თავისი სპეციფიკური პირობების გამო საქართველო ჩვენს ქვეყანაში ჩაის, ციტრუსების, დაფნის ფოთლის, ძვირფასი ჯიშების თამბაქოს და სხვა პროდუქციის არსებითად ერთადერთი ჩამბარებელია. გასულ წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის ახლებურად გარდაქმნის შემდეგ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მათ შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის თოთლის, ყურძნის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

განსაკუთრებით გვახარებს ქართველ მეჩაიეთა წარმატებები. მათ გადამეტებით შეასრულეს დავალება, მოკრიფეს 186 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“. ეს მარტო ერთი წლის განმავლობაში. სულ კი შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკის მეჩაიეებმა გადასამუშავებლად ჩაბარეს 1 მილიონ 178 ათასი ტონა ჩაი — 130 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა

ეს დიდი გამარჯვება მოპოვებულ იქნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში პირველხარისხოვან მკრეფავთა შთაგონებული შრომით. ისევე როგორც წარსულ წლებში, დიდი მოსავალი მიიღო ზუგდიდის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ უუფუნიას ბრიგადამ. პლანტაციის ყოველ ჰექტარზე მან მოკრიფა 8.630 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. შესანიშნავი მაჩვენებლები აქვს მახარაძის რაიონის ორჯონიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრს სოციალისტური შრომის გმირს ტატიანა ჩხაიძესაც. მისთვის მოსავლად ჩაბარებულ ნაკვეთზე მან 10 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ჩაის კრეფა შრომატევადი პროცესია. ამ ბოლო დრომდე იგი ძირითადად ხელით წარმოებდა. ამაზე ბევრი ძალა, დრო და საშუალება იხარჯებოდა. მაგრამ აი მკრეფავებს მიეშველა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა და მუშებმა შექმნეს. ამ ჭკვიანმა მანქანამ, თავისებურად მსოფლიოში ერთადერთმა, წარმატებით გაიარა გამოცდა და ახლა სულ უფრო ფართოდ ინერგება წარმოებაში. გასულ წელს რესპუბლიკის პლანტაციებში უკვე 300 ასეთი მანქანა მუშაობდა, შემდეგში კი ისინი კიდევ უფრო მეტი იქნება.

როგორც პატარა ნაკადულების შეერთება წარმოქმნის მდინარეებსა და ზღვებს, ისე ცალკეულ ადამიანთა ღონისძიებებიდან იქმნება შრომითი გამარჯვებანი. ერთიან ნაკადად შეერთდა ყველა იმათი შრომის შედეგები, ვინც ქმნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს. ქართველმა მევენახეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 244 ათას ტონაზე მეტი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 230 ათასი ტონისა. ასეთი რეკორდული მოსავალი ყველაზე ხელსაყრელ წლებშიც კი არ ყოფილა. რესპუბლიკის მეციტრუსეებმა დაამზადეს 28 ათასი ტონა მანდარინი და ფორთოხალი — გეგმაზე 8.5 ათასი ტონით მეტი. 1955 წელს დაფნის ფოთლის დამზადება 300 ტონას არ აღემატებოდა. 1965 წელს კი 3 ათას ტონას მიაღწია. ეს მაჩვენებლები მეტყველებენ უდიდეს შესაძლებლობებსა და რეზერვებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის ყველა დარგშია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ფართო პერსპექტივები დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. უკვე ახალი ხუთწლედის დამლევისათვის უნდა ვაწარმოოთ 235 ათასი ტონა ჩაი, 487 ათასი ტონა ყურძენი, 289 ათასი ტონა ხილი, 39 ათასი ტონა ციტრუსების ნაყოფი, 6 ათას 600 ტონა დაფნა, 25 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურები, 177 ათასი ტონა ხორცი, 537 ათასი ტონა რძე, 5.700 ტონა მატყლი, 425 მილიონი კვერცხი. ეს გეგმები რეალურია, და სოფლის მშრომელები ძალას, ენერგიას, ცოდნას არ დაიშურებენ, რომ განახორციელონ ისინი

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დაბანდებული იქნება დიდი კაპიტალური დაბანდებანი, მეურნეობანი უზრუნველყოფილი იქნებიან საჭირო მატერიალურ-ტექნიკური სახსრებით. ისინი დიდი რაოდენობით მიიღებენ მინერალურ სასუქებს, ტრაქტორებს, კომბაინებს, ავტომანქანებსა და სხვა ტექნიკას. კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება წყალთასამეურნეო მშენებლობა. სარწყავი მიწების ფართობი 85 ათასი ჰექტარით გადიდდება. ამოშრობილ იქნება 24 ათასი ჰექტარი მიწები ნაცვლად გასულ შვიდწლედში ამოშრობილი 20 ათასი ჰექტარისა. დასახულია დაჩქარებული ტემპებით აშენდეს ზემო ალაზნისა და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემები, მოეწყოს შეტევა კოლხიდის დაბლობის ჭარბად დატენიანებულ მიწებზე.

ხუთწლედის წლებში დასახულია მნიშვნელოვნად გადიდდეს მრავალწლიანი ნარგავების ფართობი. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს. თუ 1920 წელს სულ ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციები იყო, ახლა ამ პლანტაციებს 60 ათასი ჰექტარი უჭირავს. და ეს ფართობი კვლავ დიდდება. ხუთწლედის დამლევისათვის იგი 70 ათას ჰექტარს მიაღწევს. გადიდდება აგრეთვე ციტრუსების პლანტაციებისა და ვენახების ფართობი. ორმოცდახუთი წლის წინათ ციტრუსების პლანტაციებს 300 ჰექტარი ეჭირა, ახლა კი 10 ათასი ჰექტარი უჭირავს. თითქმის სამჯერ გადიდდა ვენახების ფართობი. დიდი მნიშვნელობა აქვს ნარგავების სიმეჩხრის ლიკვიდაციას. სარწყავი პლანტაციების ფართობის გადიდების სამუშაოებს.

სოფლის მშრომელები ამაღლებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურას, გაბედულად ნერგავენ წარმოებაში მოწინავეთა მიღწევებსა და გამოცდილებას, ყაირათიანად მოჰყავთ მოქმედებაში მთელი გამოუყენებელი რეზერვები და ყოველივე ამით აღწევენ ხუთწლედით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან მაღალი მოსავლის ისეთი სახელგანთქმული ოსტატები, როგორიც არიან მეჩაიე ქეთო გოგიტიძე, მევენახე ლევან მთვარელიშვილი, მეხილე გრიგოლ საგაკეები, მეთამბაქოე ხორენ ჩაკრენი, მწყემსი ყარამან გაგაძე და ბევრი სხვა.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ დიდი რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო წესია ყურადღების მიპყრობა გადაუწყვეტელ ამოცანებზე. მისდევენ რა ლენინურ ტრადიციას, საქართველოს მშრომელები, დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავისათვის რომ ემზადებიან, პირველ პლანზე აყენებენ ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველაზე საარსებო ამოცანებს. მეცნიერულ საფუძველზე, ისე, როგორც ეს საჭიროა განვითარების თანამედროვე ეტაპზე, წყდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ სრულყოფასთან, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემები.

რესპუბლიკა ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია. შენდება ახალი საწარმოები და ელექტროსადგურები, ხორცელდება ქალაქების, მუშათა დაბების, სოფლების კეთილმოწყობა, იქმნება ფართო მაგისტრალები, იზრდება საცხოვრებელი სახლების მთელი მასივები, იგება თეატრები, კლუბები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და ბაღები. შვიდწლედის განმავლობაში რესპუბლიკაში სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე მუშებმა და მოსამსახურეებმა საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენეს 7 მილიონ 300 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ ჯანმრთელობის სრულიად საკავშირო კერას. მის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და ტურისტულ ბანაკებში ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ასეულ ათასობით ადამიანი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. პირველხარისხოვანი კურორტები ბორჯომი და გაგრა, წყალტუბო და ქობულეთი კვლავ იზრდებიან და კეთილმოწყობილი ხდებიან, ხორციელდება მათი აღჭურვა უახლესი სამედიცინო მოწყობილობით.

ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებისათვის რესპუბლიკაში ყოველწლიურად გამოიყოფა დიდი სახსრები. ამან შესაძლებელი გახადა მშრომელთა სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლება. ლიკვიდირებულია მალარია და სხვა მძიმე დაავადებანი, იკლო სიკვდილიანობამ, სულ უფრო დიდი ხდება ჩვენი ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკაში ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოხდა. დიდია მონაპოვარნი მეცნიერების, სახალხო განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. თუ 1921 წელს საქართველოში 129 ბიბლიოთეკა და 209 კლუბი იყო, ახლა არის სამი ათასზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკა, ორი ათასზე მეტი კლუბი და კულტურის სახლი, 71 მუზეუმი.

პროგრესის მძლავრი დამჩქარებელი გახდა ჩვენი მეცნიერება. ქართველი მეცნიერები ეწევიან ისეთი პრობლემების დამუშავებას, რომლებიც თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგს მოიცავს და დიდი საახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკაში ნაყოფიერად მუშაობენ მეცნიერებათა აკადემია, მრავალი დარგობრივი ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი.

თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქართველ მეცნიერთა საბრძოლო შტაბი, განუზომლად გაიზარდა და განმტკიცდა. აკადემიის წევრთა რიცხვი გადიდდა 5-ჯერ და მეტად, მეცნიერი მუშაკებისა — 8,2-ჯერ. ქართველ მეცნიერებს ეკუთვნით თვალსაჩინო ნაშრომები მათემატიკის, ასტროფიზიკის, სამშენებლო მექანიკის, გეოფიზიკის, ბიოლოგიის, ბოტანიკის, გენეტიკის, ზოოლოგიის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის დარგში. რესპუბლიკაში შექმნილია ხელსაყრელი პირობები კიბერნეტიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, რადიოტექნიკის, ტელემექანიკისა და თანამედროვე მეცნიერების სხვა უახლესი დარგების განვითარებისათვის. ქართველ მეცნიერებს აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მათი წვლილი სამამულო მეცნიერებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს.

დღეს საქართველოში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 3-ჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, 3.8-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, 7-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში, 15-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

რესპუბლიკის თვრამეტი უმაღლესი სასწავლებელი სულ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს ამზადებს. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების აღზრდილნი წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და შორს მის ფარგლებს გარეთ. მათ მაღლა და ღირსეულად უჭირავთ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. რესპუბლიკაში მუშაობს ავრეთვე ოთხი ათას ხუთასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და სპეციალური საშუალო უმაღლესი სასწავლებელი. თავიანთ მთავარ დანიშნულებას ისინი იმაში ხედავენ, რომ მოამზადონ მცოდნე, ფიზიკურად ჯანსაღი, იდეურად გამოწრთობილი, კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით აღზრდილი ცალა.

რესპუბლიკაში გამოდის ასზე მეტი გაზეთი ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას ემსახურება საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება. საუკეთესო მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, მოქანდაკეთა ნაწარმოებნი, განიჭიერი თეატრალური კოლექტივების სპექტაკლები განირჩევა მხატვრული ოსტატობით, ძაღალი იდეურობით, სიმართლითა და ხალხურობით. ისინი მკითხველებსა და მაყურებლებს უღვიძებენ კეთილ, ნათელ გრძნობებსა და აზრებს, ეხმარებიან იმაში, რომ ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ, უფრო ღრმად ესმოდეთ და გაიაზრონ ისტორიული მოვლენები და დღევანდელი დღის ამბები, რაზმავენ მათს ღონისძიებებს ახალი პატრიოტული საქმეებისათვის. ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის გასულ წელს შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიები მიენიჭათ პოეტ ირაკლი აბაშიძეს, მხატვარ ლადო გუდიაშვილს, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას და მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს.

მთელი მსოფლიოს ეკრანები ტრიუმფით შემოიარა რეჟისორ რევაზ ჩხეიძის ქართულმა კინოფილმმა „ჯარისკაცის მამამ“. თვითეული ადამიანი, ვისაც ეს ფილმი უნახავს, დიდხანს შეინახავს თავის გულში კახელი გლეხისა და უშიშარი მეომრის გიორგი მახარაშვილის მომხიბლავ სახეს, რომელიც ნიჭიერმა მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ შექმნა.

ემსახურონ ადამიანებს და მაღლა ეჭიროთ ჩვენი იდეების სიმართლე—ამ კეთილშობილური და საპატიო მიზნისაკენ არის მიმართული ჩვენი ხელოვნების ოსტატთა ღონისძიებანი.

დიდ ქართველ პოეტსა და მოაზროვნეს შოთა რუსთაველს, რომლის დაბადების 800 წლისთავი წელს აღინიშნება, აქვს შესანიშნავი სიტყვები: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“. ეს სიტყვები საუკეთესოდ გამოხატავენ მთელი ჩვენი საკავშირო ოჯახის ერთიანობის არსს.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა ჯერ კიდევ ოქტომბრამდელ დროს ჩაისახა. ჩვენ ვიცით ბევრი მკაფიო და ამაღელვებელი მაგალითი იმ ადამიანთა უანგარო მეგობრობისა, რომლებიც წინ უსწრებდნენ თავიანთ საუკუნეს. რუსეთის, საქართველოს, სხვა ხალხების საუკეთესო შვილები მგზნებარედ, რწმენით ეწეოდნენ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მაღალი იდეალების პროპაგანდას. იმ შორეულ დროებაში ადამიანებს აერთიანებდა შეურიგებელი სიძულვილი მჩაგვრელებისადმი, დაუცხრომელი მისწრაფება ებრძოლნათ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის. მათ აერთიანებდა ოცნება ხალხის ნათელ მომავალზე.

ოქტომბრის ცეცხლში ნაწრთობი მეგობრობა ჩვენ ხალხებს შორის თვისებრივად ახალი განდა. მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იდეოლოგიამ — მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ შეადუღაბა ჩვენი ქვეყნის ხალხები, გარდააქცია ისინი ურყევ მთლიანად. მათს სულიერ სახეში. ფსიქოლოგიაში იშვა საერთო დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც ერთმანეთთან ანაფოესავებს სსრ კავშირის ყველა ხალხსა და ეროვნებას. მათ აქვთ საერთო სოციალისტური სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. საერთო ეკონომიური ბაზა — სოციალისტური მეურნეობა, საერთო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, საერთო მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო მიზანი — კომუნიზმის აშენება.

ჩვენმა ქვეყანამ შექმნა ახალი ცხოვრება ყველა ხალხისათვის. და ჩვენი ცხოვრება დღეს წარმოგვიდგება დედამიწაზე ყველაზე დიდი მეოცნებისა და გარდამქმნელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წინასწარგანჭვრეტის კაშკაშა შუქით გასხივოსნებული, ვისი იდეის მიხედვითაც პარტიამ და ხალხმა შექმნეს ერთიანი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შემოქმედებას ვეწევით, ვქმნით. ახალ ცხოვრებას რომ აშენებენ, ყველა ეროვნების ადამიანები ერთმანეთს გადასცემენ თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, თავიანთი გონებისა და ნებისყოფის ძალას, თავიანთი გულის სითბოს.

თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობაში უდიდეს როლს ასრულებს მათი ძმური დახმარება ერთმანეთისადმი, შრომის სოციალისტური განაწილება. შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი, როცა ერთი რესპუბლიკის მუშები, სპეციალისტები, მეცნიერები ეხმარებიან მეორე რესპუბლიკის მშრომელებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვაში, ახალ საწარმოთა მშენებლობაში, მათი სიმძლავრეების ათვისებაში.

„კეთილ საქმეებს მძლავრი ფრთები აქვსო“, — ამბობს ხალხური სიბრძნე. ყოველივე პროგრესული, რაც საუკეთესო ადამიანთა ინიციატივით ქვეყნის ყოველ რაიონში იბადება, მხურვალე მხარდაჭერას პოულობს ჩვენს რესპუბლიკაში. ყოველივე იმ ახლის, მოწინავის გადმოღება და თავისთან დანერგვა, რაც მეცნიერებამ წარმოშვა და პრაქტიკამ დაადასტურა. წესი გახდა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის.

...მაღლა, ლამაზ გორაკზე, საიდანაც ზღვისა და მთების თოვლიან მწვერვალთა შესანიშნავი ხედი იშლება, საუცხოო ბაღია. იგი ქართულ სოფელ ნატანების ლენინის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა გააშენეს უკრაინელ, აზერბაიჯანელ, სომეხ კოლმეურნეებთან ურღვევი მეგობრობის ნიშნად.

გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობაში ტანწერწეტი ვაშლის ხე დგას. იგი მეგობრობის ნიშნად დარგეს ჩუმლაყელმა კოლმეურნეებმა და უსტ-ლაბინსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „ყუბანის“ მშრომელებმა. ეს მეგობრობა უკვე მრავალი წლისაა. იგი ჩაისახა მაღლ მას შემდეგ, რაც ყუბანელებმა ჩვენი ქვეყნის ყველა სოფლის მშრომელს მოუწოდეს იბრძოლონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მომთხოვნი მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ მოწინავე გამოცდილებას, ცვლიან დელეგაციებს. „ეს მეგობრობა, — ამბობენ ისინი, — გვეხმარება ვისწავლოთ კარგი, ჩვენს მეურნეობაში დავნერგოთ ეს კარგი, მოწინავე“.

და ასეთი მაგალითი მრავალია.

მეგობრობა დიადი ძალაა. ამას ვხედავთ არა მარტო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები. ამას ამჩნევენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვარგარეთელი სტუმრები. მახარაძის რაიონის ქართულ სოფელ შრომის მეგობრობის მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ინდოეთის პარლამენტის წევრმა შრი ე. პ. ჩატერჯიმ ასეთი ჩანაწერი დატოვა:

„მთელ დედამიწის ხურგზე ძნელია იპოვნოთ შესანიშნავი თანამშრომლობის ასეთი მაგალითი“.

მეგობრობის მტკიცე ხელი გაუწოდეს ერთმანეთს რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ქარხნების, მინდვრებისა და პლანტაციების მშრომელებმა. ეს მეგობრობა ერთი მოწინავის, ერთი მეურნეობის მიღწევებს ათობით და ასობით სხვათა კუთვნილებად ხდის. ეს მეგობრობა კეთილ გამოცდილებას ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო სიმდიდრედ აქცევს.

ხალხთა ძმური მეგობრობის ძლავრი გავლენა თავს იჩენს მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარებაშიც. ერთი რესპუბლიკის მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, თეატრისა და კინოს მუშაკთა მიღწევები კეთილმყოფელ ზემოქმედებას ახდენენ სხვა ხალხების ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

საბჭოთა საქართველო ორმოცდახუთი წლისაა. ეს მოწიფულობის ასაკია, ღრმა ცხოვრებისეული სიბრძნის ასაკია. თავიანთ იუბილეს რესპუბლიკის მშრომელნი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული შესანიშნავი წარმატებებით ეგებებიან. ამ წარმატებებით აღფრთოვანებულნი, ისინი ახლა გასამკეცებული ენერგიით განაგრძობენ მუშაობას, ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას. ქართველ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განუხრელად მიდიოდეს იმ გზით, რომელიც გასხივოსნებულია ოქტომბრის ჩაუქრობელი შუქით, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იბრძოდეს კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვალერიან ივლიანეს-ძე **ვადაჭკორია** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1966 წლის 17 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ზ. რომელაშვილის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობანი-სგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. დავით ზაქარიას-ძე **რომელაშვილი** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1966 წლის 17 თებერვალი.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულების 18 წლისთავი

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 18 წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს იანოშ კადარს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს დიულა კალაის გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად ულოცავენ მოძმე უნგრელ ხალხს.

„საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულებამ, — ნათქვამია დეპეშაში, — რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები, მტკიცე დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნების ხალხთა გულწრფელი მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განუწყვეტელ განვითარებასა და განმტკიცებას, იგი ხელს უწყობს მათი მეცადინეობის გაერთიანებას სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში და შეესაბამება ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხთა ინტერესებს

გისურვებთ, თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და მთელ უნგრელ ხალხს ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, სოციალიზმის ძალების ერთობისა და შეკავშირებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

ძმური სოლიდარობა

**საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბ

საერთაშორისო ცხოვრება

მეგობრების წარმატებები ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მთავრობის სამეახლოვრო ბარათი

16 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ფ. კოლერი და გადასცა მას საბჭოთა კავშირის მთავრობის სამახსოვრო ბარათი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. მასში ნათქვამია, რომ ამერიკის მთავრობის ოფიციალური განცხადებებისა და პრესის ცნობების თანახმად მიმდინარე წლის 17 იანვარს ამერიკის B-52 ტიპის ბომბდამშენს, რომელზეც იყო ატომური იარაღი, ავარია მოუვიდა ესპანეთის სანაპიროზე. კატასტროფის შედეგად ოთხი წყალბადის ბომბი, რომელთაგან თითოეული თავისი სიმძლავრით ასეულჯერ აღემატება ერთ დროს ხიროსიმასა და ნაგასაკაში ჩამოგდებულ ბომბებს, ჩამოვარდა ესპანეთის ტერიტორიაზე და ხმელთაშუაზღვის სანაპირო წყლებში. ამასთან, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ ბომბს აუფეთქდა დეტონატორი და გამოიყო რადიოაქტიური ნივთიერებანი. არის იმის საშიშროება, რომ მოხდეს რადიოაქტიური მოწამვლა მეორე წყალბადის ბომბისაგანაც, რომელიც არის ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე. რადიოაქტიური მოწამვლის საფრთხე შეექმნა მნიშვნელოვან მეჩიდრედ დასახლებულ რაიონს. ბუნებრივია, რომ ხალხები დიდად შეშფოთებულნი არიან ამ ფაქტებით.

სამახსოვრო ბარათში ხაზგასმულია, რომ მოქმედება, რომელსაც მოჰყვა აღნიშნული ფაქტები, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, იმ ვალდებულებებს, რომელებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იკისრა მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, კერძოდ, მოსკოვის 1963 წლის ხელშეკრულებით ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. ახლა ამერიკული ატომური იარაღისაგან ესპანეთის სამხრეთ სანაპიროზე, აგრეთვე მის ახლომდებარე ზღვის სივრცეზე გავრცელდა რადიოაქტიური მოწამვლა. შეიქმნა ღია ზღვის მოწამვლის რეალური საფრთხე, რაც ეწინააღმდეგება ღია ზღვის თავისუფლების პრინციპს, რომელიც დიდი ხანია დამკვიდრდა საერთაშორისო ურთიერთობაში. ამით დაირღვა 1958 წლის კონვენცია ღია ზღვის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს და დაამტკიცეს შეერთებულმა შტატებმა. კონვენცია ყოველ სახელმწიფოს ავალებს განახორციელოს ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ, „ზღვის ან ზღვის საჰაერო სივრცის მოწამვლა ყოველგვარი საქმიანობის შედეგად, რომელიც შეიცავს რადიოაქტიური მასალების, ან სხვა მავნე ნივთიერებათა გამოყენებას“.

შემდეგ სამახსოვრო ბარათში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ არაერთგზის გააფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, თუ რა საშიშია ატომური იარაღით აღჭურვილი ბომბდამშენების ფრენა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ყურად არ იღო ეს, და ამერიკის თვითმფრინავთა ფრენა კვლავინდებურად გრძელდება. საშიში ინციდენტების განმეორების ყოველგვარი შესაძლებლობა რომ გამოვრიცხოთ, უნდა შეწყდეს ატომური და წყალბადის ბომბებით აღჭურვილი თვითმფრინავების ფრენა ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა კავშირის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღებას მიიპყრობს ყოველივე ამას და მიიჩნია, რომ იმ საშიში შემთხვევითობებისა და ინციდენტების თავიდან აცილების ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ხმიმე შედეგები ხალხებისათვის, მშვიდობის ინტერესებს შეესაბამება ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ ატომური იარაღით აღჭურვილი თვითმფრინავების ფრენის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, საერთაშორისო შეთანხმებების ზუსტად დაცვა, რომლებიც ითვალისწინებენ ადამიანის გარემოს რადიოაქტიური მოწამვლის დაუშვებლობას. (საქდესი).

სტუმრად თბილისში

17 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრი ლუციან მოტიკა მეუღლითურთ, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მინისტრის კაბინეტის დირექტორი სტანისლავ ნოიმარკი და სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს კულტურის საკითხთა მრჩეველი ანეი ვალატეკი.

საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობისას სტუმარს ახლავან სსრ კავშირის კულტურის მინისტროს მოადგილე გ. ა. ვლადიკინი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს კულტურის საკითხთა მრჩეველი გ. ს. გოლოვინკოვი.

აეროდრომზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრს ლუციან მოტიკას და სხვა პოლონელ სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეები ა. ა. დვალიშვილი, ვ. ი. იაკუშვილი და სხვები.

ხანმოკლე დასვენების შემდეგ ლუციან მოტიკა და მისი თანმხლები პირნი ეწვიენენ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის სახელოსნოს, შემდეგ ისინი სახელმწიფო სურათების გალერეაში დაესწრნენ საქართველოს მხატვართა და ხალხურ ხელმარჯვეთა ნამუშევრების გამოფენის გახსნას. (საქდესი).

ჯონსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, ამერიკის შეერთებული შტატების დიდ გეზეთებში, უნივერსიტეტთა აუდიტორიებში გაისმის სულ უფრო მეტი ხმა, რომელიც მოუწოდებს მთავრობას ცნოს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, დათანხმდეს მასთან მოლაპარაკებაზე. ეს არ მოსწონთ ვაშინგტონელ ხელმძღვანელებს. გუშინ პრეზიდენტ ჯონსონი, რომელიც გამოვიდა ატლანტიკისტიში (ნიუ-ჯერსის შტატი) ამერიკის სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის ყრილობაზე, შეეცადა ძალიან უარყოფითად დაეხასიათებინა განთავისუფლების ეროვნული ფრონტი. ჯონსონმა არ დაშურა მკვახე ეპითეტები სამხრეთ ვიეტნამის პარტიზანებზე თავდასხმისათვის. ამავე დროს მას ცამეტი ანყავდა საიგონის მარიონეტული რეჟიმი.

ჯონსონმა განაცხადა, „რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოეპოვებათ „სამხედრო ძლიერება, რათა დაარწმუნონ კომუნისტები, რომ შეუძლებელია სამხრეთ ვიეტნამის ძალით დაპყრობა“. ასოციეიტედ პრესის სააგენტოს კომენტატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ პრეზიდენტს არც ერთხელ არ უხმარია თავის გამოსვლაში სიტყვები „მშვიდობა“ ან „მოლაპარაკება“.

გუშინვე ამერიკის შეერთებული შტატების სავიეტნამო პოლიტიკის შესახებ სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფო მდივანმა რასკმა. მიმართა რა სოფლის ელექტროკოპერატივთა ასოციაციის ყრილობის მონაწილეებს ლას-ვეგასში (ნევადის შტატი), მან გაიმეორა გაცვეთილი პროპაგანდისტული მტკიცება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს „ეხმარებიან სამხრეთ ვიეტნამს დაიცვას აგრესიისაგან თავისი დამოუკიდებლობა“.

ფინეთის ეკრანებზე

მოსკოვი, 16 თებერვალი. (საქდესის კორ.). ჰელსინკი, ტამპერე, ტურკუ — ასეთია საბჭოთა კინოს კვირეულის მარშრუტი. კვირეული 18 თებერვალს იწყება ფინეთის დედაქალაქში. პროგრამაში შეტანილია უკანასკნელი წლების ყველაზე საინტერესო სურათები — „მგზნებარე წლების ამბავი“, „ჩვეულებრივი ფაშიზმი“, „ჯარისკაცის მამა“, „ძოწის სამაჯური“, „მე 20 წლისა ვარ“, „იყო მოხუცი ცოლ-ქმარი“, „ჯარბუქი“.

კინორეჟისორი ა. როომი, მსახიობები ზ. კირიენკო და ს. ლიუბშინი შედიან საბჭოთა დელეგაციაში, რომელიც ფინეთს მიემგზავრება.



საბჭოთა კავშირისა და არაბეთის მეგობრობის სიმბოლოს ეძახიან არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობას.

ახლა უკვე ჩადგება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამუშაოები. ასუანის მშენებლობა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების შესანშნავ სკოლად იქცა. როგორც კაირის პრესა იუწყება, მშენებლობის დამთავრების შემდეგ 25 ათასი მუშა, რომლებიც ასუანში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით კვალიფიკაციას მიიღებენ, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა მშენებლობებზე წავა. ამიტომაც ასეთი იმედითა და ყურადღებით ადევნებს თვალს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა აფრიკის ამ უდიდეს მშენებლობას.

სურათზე თქვენ ხედავთ ჰიდროელექტროსადგურის პირველ და მეორე აგრეგატებს.

ფოტო ა. მიგუშინისა.

რევანშისტთა ვოიაჟი

ბონი, 16 თებერვალი. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი დღეს ვაშინგტონს გაფრინდა. ერთი დღით ადრე შეერთებულ შტატებში გაემგზავრა ბუნდესვეერის სარდალი გენერალი ტრეტნერი. დასავლეთ გერმანიის სამხედრო მოღვაწეები მოხაწილეობას მიიღებენ იმ „ატომური დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის“ თათბირში, რომელიც რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა ეგრეთ წოდებული „მაკნამარას კომიტეტის“ ფარგლებში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხედრო უწყების ოფიციალური წარმომადგენელნი უჩვეულო სიტყვაძუნწობას იჩენენ ამ თათბირის პერსპექტივებისა და იმ პოზიციის გამო, რომელსაც დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები დაიდგებიან ამ თათბირზე.

გონის გადაწყვეტილება

ბონი, 16 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დღეკანდელ სხდომაზე კვლავ განიხილეს ვიეტნამის ომში ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დახმარების გაწევის საკითხი. როგორც დღეს აქ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ბონის კაბინეტმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გაგზავნოს სამხრეთ ვიეტნამში სამედიცინო და სხვა პერსონალი, რომელმაც ადგილზე უნდა მოამზადოს ამ ქვეყანაში დასავლეთგერმანული საჰოსპიტლო გემის გაგზავნის პირობები.

„სუკარნოს ფრონტი“

ჯაკარტა, 17 თებერვალი. (საკდესი). ამჟამად ცდილობენ ინდონეზიის რევოლუციას მარჯვნივ გადაახვევინონ, განაცხადა ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელიც გამოვიდა მერდეკის სასახლეში სტუდენტთა პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინაშე. პრეზიდენტმა დამსწრეთ მოუწოდა შექმნან „სუკარნოს ფრონტი“, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ახლანდელი კურსიდან რევოლუციის გადახვევის ცდებს.

შემდეგ გამოვიდა პრემიერ-მინისტრის მესამე მოადგილე ჰაირული სალეჰი. მან აგრეთვე აღნიშნა ზოგიერთი დაჯგუფების ტენდენცია გადაახვევინონ რევოლუციას მარჯვნივ. მან მოუწოდა სტუდენტებს ჩაებან ბრძოლაში ასეთი ტენდენციების წინააღმდეგ და შექმნან „სუკარნოს ფრონტის“ ორგანიზაციები, ნუ შეუშინდებიან შესაძლო დაპატიმრებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბანდუნგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ათი სტუდენტი ამასწინათ დაუპატიმრეს თავიანთ ინსტიტუტში „სუკარნოს ფრონტის“ ორგანიზაციის შექმნის ცდისათვის.

თურქეთის ინტერესებისათვის

სტამბოლი, 16 თებერვალი. (საკდესი). „თურქეთი უნდა განთავისუფლდეს ატომური იარაღისაგან, თურქეთმა უნდა გადადგას საჭირო ნაბიჯები, რათა შუა აღმოსავლეთი გახდეს უატომო ზონა და უცხოეთის სამხედრო ბაზები ამ რაიონში ლიკვიდირებულ იქნეს“. ასეთი მოწოდება გამოაქვეყნა გაზეთ „ჯუმჰურიეთში“ ცნობილმა თურქმა ეურნალისტმა ილჰან სელჩუკმა სტატიაში ეროვნული სტრატეგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ლექციების გამო, რომლებიც ამას წინათ წაიკითხეს ეროვნული ერთობის კომიტეტის ყოფილმა წევრებმა მუსტაფა ოკმა და ნუმან ესინმა.

ბილიარდები აგრესიისათვის

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო გვატყობინებს:

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში დაიწყო კანონპროექტის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს 4,8 მილიარდი დოლარის გამოყოფას თვითმფრინავების, რაკეტების, სამხედრო გემების, საბრძოლო სატრანსპორტო საშუალებების შესასყიდად და სამხედრო მშენებლობისათვის სამხრეთ ვიეტნამში. ეს ასიგნებათა პირველი ნაწილია. ამერიკის მთავრობამ ვიეტნამის ომისათვის მიმდინარე საფინანსო წელს სულ დამატებით მოითხოვა 12,3 მილიარდი დოლარი.

სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ რ. რასელმა, რომელმაც ეს კანონპროექტი შეიტანა, მოუწოდა სენატის წევრებს სწრაფად დამტკიცონ კანონპროექტი და ნუ დაკარგავენ დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკის კრიტიკისათვის. მაგრამ პირველსავე დღეს ჩაშალა რასელის ცდა, ფაქტიურად განუხილველად მიეღებინებინა სენატისათვის ეს კანონპროექტი. 30 სენატორმა უკვე განაცხადა, რომ აპირებენ ენერგიულად ბრძოლა გააგრძელონ ამერიკის ახლანდელი სავიეტნამო პოლიტიკა.

გუშინ კანონპროექტს პირველმა დაუჭირეს მხარი უკიდურესი მემარჯვენე წრეების სენატორებმა.

18 თებერვალს 18 წელი შესრულდა საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების დღიდან. სურათზე თქვენ ხედავთ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ბუდაპეშტის ახალ საცხოვრებელ სახლებს ლეო ფრანკელის პროსპექტზე. დუნაის მეორე ნაპირზე მოჩანს უნგრეთის პარლამენტის უძველესი შენობა.

ფოტო მტი-საკდესისა.

ვენერიანი—სამშობლოს ბოღალატეს

ვარშავა, 16 თებერვალი. (საკდესი). ვარშავის სამხედრო საოლქო სასამართლომ დაუსწრებლად განიხილა დასავლეთ ბერლინში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო მისიის ყოფილი მეთაურის ვლადისლავ ტიკოცინსკის საქმე, რომელსაც ბრალად ედება სამშობლოს ღალატი.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, 1965 წლის 16 მაისს ვლადისლავ ტიკოცინსკიმ დატოვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მისია, მიეიდა ამერიკის სამხედრო მისიაში და თავშესაფარი ითხოვა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ტიკოცინსკიმ უღალატა სამშობლოს, დაუკავშირდა ამერიკის დაზვერვას და გადასცა სატუთები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდნენ, აგრეთვე აკეზებდა სხვა პირებს ეღალატათ სამშობლოსათვის.

სასამართლომ ტიკოცინსკი სამშობლოს მოღალატედ ცნო და მიუსაჯა სიკვდილი და მთელი ქონების კონფისკაცია სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ფრანგული თანამგზავრი

პარიზი, 17 თებერვალი. (საკდესი). დღეს ჰამაგირის პოლიგონიდან (საჰარის უდაბნო) გაუშვეს ფრანგული „დიამანის“ რაკეტის მეშვეობით.

იზრდება დამნაშავეობა

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი. (საკდესი). ნიუ-იორკის პოლიციური სამართველოს მონაცემების თანახმად შარშან ნიუ-იორკში 9,1 პროცენტით გაიზარდა დამნაშავეობა. განსაკუთრებით მკვეთრად გადიდდა დანაშაულობანი იარაღის გამოყენებით (ბელლობა, შეიარაღებული ძარცვა, ბანდიტიზმი). ასეთ დანაშაულთა რიცხვი 10,1 პროცენტით გაიზარდა. განუწყვეტლივ მატულობს ნარკოტიკების გამოყენებასა და არალეგალურ გაყიდვასთან დაკავშირებული დანაშაულობანი.

ამ დანაშაულთათვის დაპატიმრებულ 16 წლამდე ასაკის მოზარდთა რიცხვი 72 პროცენტით გადიდდა.

... ...

ბერლინი. 440 ათასზე მეტი მგზავრი გადაიყვანა შარშან ბერლინის დემოკრატიული რესპუბლიკის საავიაციო კომპანიამ „ინტერფლუგმა“. კომპანიამ გაავფართოვა თავისი „საჰაერო გეოგრაფია“. გამოანგარიშებულია, რომ „ინტერფლუგის“ თვითმფრინავებმა ყველა ავიახაზზე გაიარეს 7,5 მილიონ კილომეტრზე მეტი მანძილი.

... ...

ვარშავა. იანვარში, ვარშავის მახლობლად, გაიხსნა ევროპის სოციალისტური ქვეყნების მწარალთა კავშირების ხელმძღვანელთა კონფერენცია. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მწარალთა კავშირის გამგეობის მდივანი ა. ა. სურკოვი. კონფერენციის მონაწილენი განიხილავენ 1966 წლის თანამშრომლობის საკითხებს.

... ...

ბერლინი. 16 თებერვალს ბერლინში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრი ლუციან მოტიკა. ბერლინში ჩამოვიდნენ მინისტრის კაბინეტის დირექტორი სტანისლავ ნოიმარკი და სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს კულტურის საკითხთა მრჩეველი ანეი ვალატეკი.

... ...

ბონი. 16 თებერვალს ბონში ჩამოვიდა ბელგიის ელჩი ბონში ანრი ბეგენ. ელჩი ბონში ჩამოვიდა ბელგიის ეროვნული დღესასწაულის — ეროვნული ერთიანობის დღის — ბანკეტზე

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

გუნეგის მკვლევარები

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდ და სასიხარეგლო მუშაობას ეწევა ბუნების მკვლეელთა მოსკოვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება, რომელიც ამ ათი წლის წინათ პროფესორ ა. გოცირიძის ინიციატივრთა და ხელმძღვანელობით შეიქმნა.

ქუთაისელმა ბუნების მკვლეგარებმა როგორც მეცნიერ მუშაკთა შორის, ისე მოსახლეობის ფართო ფენებში ბევრი საშეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის ღონისძიება განახორციელეს. თბილისში, ქუთაისსა და სიღნაღში მოაწყეს გამსვლელი საშეცნიერო კონფერენციები ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე, აგრეთვე კონფერენციები ფიზიოლოგიის და სიცოცხლის განაგრძლიგების საკითხებზე.

პიონერთა სასახლე ჰიათურაში

ჰიათურა. (საკ. კორ.). როცა ჰიათურელები წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებად გამოვდნენ, მათი ერთ-ერთი ლამაზი ნაგებობა მარგანეცის ქალაქში. იგი „საქმიანობენის“ ტრესტის ჰიათურის სამმართველოს კოლექტივმა აიშენა.

პიონერთა სასახლეს აქვს ვრცელი დარბაზები. წრეობრივ-სპორტული მუშაობისათვის. აქვე მოთავსდება ბავშვთა ტექნიკური საფეხური.

პიონერთა სასახლის ირგვლივ ხუთ ჰექტარზე გაშენდა ბაღი.

კარგი საჩუქარი

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის პირველი საშუალო სკოლის კოლეგიმ, რომელიც რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ახალგაზრდობასთან ერთად შეფობას უწევენ ენერგეტიკულის მშენებლებს, კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მდიდარი ბიბლიოთეკა შეკრიბეს და მშენებლობაზე საჩუქრად გაუგზავნეს თავიანთ თანატოლებს.

მზადდება ახალი სპექტაკლები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი ემზადება რუსული ოპერის თვალმარგალიტის — მოდესტ მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვის“ დასადგმელად. თბილისში ჩამოვიდნენ ამ სპექტაკლის დამდგმელი, მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის მთავარი რეჟისორი ლ. მიხაილოვი და მხატვარი ნ. ზოლოტარიოვი. დადგმის მუსიკალური ხელმძღვანელია თეატრის მთავარი დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯანსუღ კახიძე. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მთელი მუშაობა ამ დადგმაზე. პრემიერა შედგება მარტის 20-იან რიცხვებში.

მზადდება აგრეთვე კომპოზიტორ ს. ს. პროკოფიევის ბალეტი „ჯონკი“. სპექტაკლს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჯაბუკიანი დგამს. ამ სპექტაკლის მხატვარია ბ. ა. მესერერი—სადალეტო სპექტაკლების მხატვარი სსრ კავშირის დიდ თეატრში, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის თეატრსა და სსრ კავშირის ბევრ სხვა თეატრში. სპექტაკლის დადგმა განზრახულია მიმდინარე წლის მაისის პირველ რიცხვებში.

დასადგმელად მზადდება აგრეთვე კომპოზიტორ მერი დავითაშვილის სიმღერიანი ოპერა „ქაჯანი“. ოპერას დგამს ახალგაზრდა რეჟისორი გურამ მელიავა. ეს დადგმაც უახლოეს თვეში განხორციელდება.

თებერვლის დამლევს განახლდება კომპოზიტორ ა. მაჩავარიანის ბალეტი „ოტელო“. მთავარ როლში გამოვა ვახტანგ ჯაბუკიანი.

ს. პოლიანოვი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ბაკურიანში კოსმოსური კვლევის სკოლა

ბაკურიანი, 17 თებერვალი. (საქდესის კორესპონდენტი ხ. შულცი). დაბალ ტემპერატურათა დარგში მომუშავე ფიზიკოსთა კოლოკვიუმის შემდეგ 16 თებერვალს ბაკურიანში გაიხსნა კოსმოფიზიკის სრულიად საკავშირო მესამე სკოლა, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური სხივებისა და რადიოტალღური სარტყლების სექციამ და ატომური ფიზიკის განყოფილებამ. ჩვენი ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო ცენტრებიდან ჩამოსული 60 სპეციალისტი მოაწყობს დისკუსიებს და მოისმენს ლექციებს კოსმოფიზიკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

ბაკურიანი ფიზიკოსთა განკარგულებაშია.

მერხებს მიუსხდნენ მეცნიერები — იმ სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც კოსმოფიზიკის დარგში აწარმოებენ კვლევას.

სკოლა თავის მუშაობას მიუძღვნის კოსმოსური სხივების საშუალებით სამყაროს კვლევის აქტუალურ პრობლემებს, ჩვენი გალაქტიკის სპალპანტაოშორისო სივრცის, აგრეთვე მზის გვირგვინის ზონდირებას მზის სისტემასა და სამყაროში წარმოშობილი კოსმოსური სხივებითა და რადიოტალღებით. (საქდესი).

უკრაინელთა დელეგაცია მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ. ტელეფონით). გუშინ მახარაძეში ჩამოვიდა უკრაინის სსრ გენჩიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან დ. გავრილიაკი (გენჩიჩესკის რაასამბლეის აღმასკომის თავმჯდომარე — დელეგაციის ხელმძღვანელი), ნ. მარკუშა — პარტიის გენჩიჩესკის რაიკომის ინსტრუქტორი, ნ. ბელეცკი — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ო. სერეგასკო — კოლმეურნეობა „საქართველოს“ მერგოლური.

გენჩიჩესკელები მახარაძეში რამდენიმე დღე დარჩებიან, დაესწრებიან მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მორნეული სეზონის შეჯამებას, ჩვენი შეიმოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების 1965 წლის შედეგებს და გაიფორმებენ ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას, გაეცნობიან რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას.

ჩვენი ინტერვიუ

აზრის საგანძური

ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი შენობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტთა დასახლებას თბილისის ცირკის მოპირდაპირ მხარეს მდებარე გორაკზე ეკლარის ქვით მოპირკეთებული ორიგინალური ნაგებობა შემატა. ეს არის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ასურულა ჩვენი კულტურის მოღვაწეთა ოცნება — ერის უძვირფასესი საგანძურს — უძველეს ხელნაწერ წიგნებსა და ისტორიულ დოკუმენტებს ჰქონოდა საიმედო სიძველეთსაცავი.

ინსტიტუტის შენობა ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი, რომელიც გარედან მთლიანად ყრუ კედლებით არის შემოსალტული და მხოლოდ ზემოდან აქვს გუმბათოვანი მინის სახურავი, ხელნაწერ სიძველეთსაცავია. აქ სარდაფის სართულში სპეციალური დანადგარები და ხელსაწყობია, რომელიც უზრუნველყოფენ მთელ სიძველეთსაცავში ხელნაწერი წიგნებისათვის საჭირო „სასუნთქავ“ ჰაერს.

სარდაფის ვრცელი დარბაზი დათმობილი აქვს ქართულ ხელნაწერ წიგნებს. აქ ლითონის სპეციალურ სტელაჟებზე, რომელთა ხის თაროები მავნე მწერებისაგან დასაცავად ქიმიურად არის დამუშავებული, განლაგდება 10.000 ცალი ქართული ხელნაწერი წიგნი. ვინ მოთვლის რამდენ წელს ითვლის თვითეული მათგანი. ინსტიტუტის ფონდებში ხომ ხელნაწერი წიგნები მე-5 საუკუნიდან აქვთ ვიდრე მე-19 საუკუნემდე.

დარბაზი საგულდაგულოდ არის დაცული. სპეციალური აპარატი განსაზღვრავს ჰაერის ტენიანობას, სითბოს და საჭიროების შემთხვევაში თავადვე არეგულირებს ჰაერის რეჟიმს. ხოლო ჭერზე გაკეთებული ხანძრის საწინააღმდეგო მოლგაყვანილობა უზრუნველყოფს უმედგენ შემთხვევაში ცეცხლის ქრობას.

სარდაფიდანვე იწყება მოძრაობას სიძველეთსაცავში შიდა ლიფტი, რომლის დახმარებით ხელნაწერი წიგნები მაღლა I სართულში მდებარე დიდ სალექციო დარბაზში აჰქვთ. აქაც ჰაერი კონდიცირებულია, რომ წიგნი მუდმივად ჰაერის გარკვეულ რეჟიმში იყოს.

სარდაფის გაგრძელებაზე, რომელიც ინსტიტუტის შენობის მეორე ნაწილს უკავშირდება, მოთავსებულია მიკროფილმების ბიბლიოთეკა. სპეციალურ დარბაზში განლაგდება უძველესი ხელნაწერი წიგნების ფოტოფირები. ინსტიტუტში გადაწყვეტილი აქვთ ფოტოფირზე გადაიტანონ ყველა ხელნაწერი წიგნი, რომ დაიცვან დედნები ხშირი ხმარებისაგან.

ინსტიტუტის შენობის მეორე ნაწილი წარმოადგენს სამეცადინო-საკვლევ კორპუსს. I სართულზე მოთავსებულია მიკროლოგიური, ქიმიური-სარესტავრაციო, ფოტოგადაღების ლაბორატორიები. ეს შემოხვევითი არ არის. საუკუნეების განმავლობაში ხელნაწერი წიგნები — ეტრატები თუ ქაღალდის ფურცლები იცრცება, იხეკა, ქამთა სვლა მათზეც ახდენს გავლენას, წიგნები შედეგიც დადებითი გვაქვს. ახლადჩამოყალიბებულ ლაბორატორიაში მუშაობას უფრო ფართოდ გავშლით. განზრახული გვაქვს ახლო მომავალში ჩვენს საზოგადოებას გავაცნოთ, თუ რაზე ღალაღებენ ეს უძველესი ქართული წიგნები.

შენობათა დამაკავშირებელი ხიდით გადავდიგართ ისევ ხელნაწერსაცავში. აქ, II სართულზე დიდი დარბაზი დათმობილი აქვს ისტორიულ დოკუმენტებს, სიგელ-გუჯრებს, აგრეთვე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და კლასიკოსთა არქივებს.

წიგნსაცავის III სართულის გუმბათოვანი თაღით დამშვენებული მაღალი დარბაზი კი მთლიანად დათმობა რუსთაველის საიუბილეო გამოფენას.

გამოფენა სამ განყოფილებად იქნება დაყოფილი. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება რუსთაველის წინა ხანა, ქართული კულტურის ის ადრინდელი ძეგლები, რომელებითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ერი. კედლის ერთი მხარე დაეთმობა რუკას, სადაც აღბეჭდილი იქნება ხელნაწერი წიგნების ცენტრები ჩვენში, ხოლო მეორე რუკაზე აღნუსხული იქნება ქართული წიგნების ცენტრები საქართველოს ფარგლებს გარეთ.

შუთა რუსთაველის განყოფილებაში ეკსპონირებული იქნება ინსტიტუტის ფონდიდან „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ნიმუშები. აქ ამ გენიალური პოემის 100-ზე მეტი ხელნაწერია დაცული. ამავე განყოფილებაში ფართოდ იქნება ნაჩვენები რუსთაველის დროინდელი პოეტების შემოქმედება, ფილოსოფიური მწერლობა და სხვ.

საინტერესოა გამოფენის მესამე განყოფილება. კი წარმოგვიდგენს რუსთაველის შემდგომ ხანას, გვიჩვენებს, რა გავლენა მოახდინა ქართულ კულტურაზე, ქართულ მწერლობაზე ამ დიდმა მოაზროვნემ.

გამოფენა შემდგომ მუდმივად დარჩება, რათა ინსტიტუტში მომსვლელნი გაეცნონ ქართული კულტურის ისტორიის უტყუარ დოკუმენტებს.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი შენობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

• გუშინ კომკავშირის ყრილობაზე •

საქართველოს კომკავშირის XXVI ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარჯვნიდან მარცხნივ): ფოთის პურკომბინატის მუშა ი. ჯორჯიკია, ნავსადგურის მეამწეთა კომკავშირული ეკიპაჟის ბრიგადირი ი. თოფურია, ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის ინჟინერი პედაგოგი ჯ. მირცხულავა, მეზღვაური ნ. ბესლიუკი, ფოთის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ნ. კუხალეიშვილი, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ბერაია, დ. ბორბოლაძე, ი. ბირიუკოვა, მეზღვაური ლ. ჩურიკოვი, ბ. მურავიოვი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

იცით თქვენ ეს?

სამკურნალო კულტურა

ოსეთის მთების უერდობებზე ღანძილის აღმონაცენები ამბობენდა. ამ მცენარის მოსაკრეფად გავიდნენ სპეციალური რაზმები. დაიწყო პირველი მოსავლის გადამუშავება.

რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნები ყოველწლიურად ამზადებენ მილიონამდე ქილა ღანძილს და უგზავნიან პოლარელებსა და მორეული ჩრდილოეთის მცხოვრებლებს. ღანძილის თესლიანი ბევრი ამანათი იგზავნება ოსეთიდან ჩვენი ქვეყნის საცდელ სადგურებში. ოსეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ამ კულტურის თესლითა და ბოლქვებით სავსე ორასი ამანათი გაგზავნა.

რით აიხსნება ასეთი დიდი ინტერესი ღანძილისადმი?

ღანძილი სამკურნალო კულტურაა, უპასუხა ამ კითხვაზე საკვლევის კორესპონდენტს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ხ. ოკაზოვმა. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, იგი ავჯარობესებს ნივთიერებათა ცვლას, მადას უღვიძებს ადამიანს, სტიმულს აძლევს საჭმლის მოსანელებელი ორგანოების მუშაობას. შემთხვევით როდია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ძველთაგანვე იყენებენ მას კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მკურნალობის დროს. ამ მცენარეს მოიელენ ცოცხალ ფამალს უწოდებენ. იგი ფარმაცევტიკის ცალის, ზოგჯერ კი სჯობია. ეფექტურ სამედიცინო პრეპარატებს.

ამ კულტურას ფართოდ იყენებენ ვეტერინარიაში. ღანძილის ნვენი კარგად მოქმედებს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობის დროს. ღანძილით გამოკვებილი ცხოველები და ფრინველები იშვიათად ავადმყოფობენ, კარგად ვითარდებიან. უფრო სწრაფად იმატებენ წონაში. ღანძილს იყენებენ აგრეთვე ყურძნისა და სიმინდის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეი რატომ არის, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მოწინავე მეურნეობები ღანძილს — აქცევენ ბოსტნეულის თესლბრუნვაში.

(საკდესის კორ.).

ორჯონიკიძე.

სტუდენტი გახდება ის, ვინც საუკეთესო და ღირსეულია...

საუბარი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრ ვ. ჰ. ელიუტინთან

◆

დამჯიცდა სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები. ამასთან დაკავშირებით საკვლესის კორესპონდენტმა ი. კოზლოვსკემ სთხოვა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ვ. ჰ. ელიუტინს ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შარშანდელი გამოცდილება გვარწმუნებს, თქვა ვ. ჰ. ელიუტინმა, რომ 1965 წელს შემოღებულმა საკონკურსო შერჩევის წესმა საერთოდ გაამართლა თავისი დანიშნულება. ეს წესი უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებლებში ყველაზე მოზადებული ახალგაზრდობის მიღებას.

ახალ წესებში სწორედ ამიტომ არის ძირითადად შენარჩუნებული კანდიდატთა შერჩევის წინანდელი წესი.

კითხვა: უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას ისარგებლებს თუ არა შეღავათით ახალგაზრდობა, რომელსაც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუშაობის გამოცდილება აქვს?

პასუხი: უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესი უფლება კვლავ იმათ ექნებათ, ვისაც უკვე აქვს სულ ცოტა ორი წლის მუშაობის პრაქტიკული სტაჟი. წარმოების მუშაკთა და საბჭოთა არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის დემობილიზებულ მეომართა კონკურსი მოსწავლეთა კონკურსისაგან ცალკე იწარმოებს. ის პირნი, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებლებში წარგზავნიან საწარმოთები და ორგანიზაციები წარმოებას მოწყვეტით სასწავლებლად. აგრეთვე მიიღებენ მოწაფლეობას წარმოების მუშაკთა კონკურსში და პირველ რიგში ჩაირიცხებიან.

სოფლის მეურნეობისა და ბიოლოგიის პროფილების დღის განყოფილებაზე კირველ რიგში მიიღებიან ისინი, ვინც მუდამ ცხოვრობს სოფლად და უმაღლეს სასწავლებელში არჩეულ ან მონათესავე სპეციალობაში მუშაობის სტაჟი აქვს.

კითხვა: როგორ იწარმოებს წარმოებას მოწყვეტლივ სწავლების მსურველთა მიღება?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა ჩაირიცხება ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ან აჩრეული ან მონათესავე სპეციალობაში მუშაობის სტაჟი აქვს.

კითხვა: როგორ იწარმოებს წარმოებას მოწყვეტლივ სწავლების მსურველთა მიღება?

პასუხი: უწინარეს ყოველისა ჩაირიცხება ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში აჩრეული ან მონათესავე სპეციალობაში მუშაობს. ამას განსაკუთრებით გავითვალისწინებთ ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პროფილებზე მიღების დროს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაუსწრებელი და საღამოს სწავლება უმთავრესად გათვალისწინებულია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც პრაქტიკულად კარგად იცნობენ თავიანთ მომავალ სამუშაოს.

ამრიგად, წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლება უნდა განვიხილოთ ძირითადად როგორც ამა თუ იმ დარგში მომუშავეთა კვალიფიკაციის სერიოზული ამაღლების სისტემა.

კითხვა: კვლავ ეძენებათ თუ არა შეღავათი უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას იმათ, ვინც საშუალო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაამთავრეს, აგრეთვე საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა წარჩინებით კურსდამთავრებულებს?

პასუხი: სკოლების მედალოსნებსა და ტექნიკუმების ფრიადოსნებს ექნებათ ჩარიცხვის უპირატესი უფლება საკონკურსო შერჩევის დროს. თუ ისინი ერთ მაპროფილებულ დისციპლინაში „ხუთზე“ ჩაბარებენ გამოცდას, მაშინ კონკურსში ისეთივე უფლება ექნებათ, როგორც იმათ, ვინც ყველა გამოცდა „ხუთზე“ ჩაბარა. მაგრამ თუ მედალოსნებისა და ფრიადოსნების ცოდნა „ოთხზე“ ან „სამზე“ შეფასდა, ისინი ყველა დისციპლინაში გამოიცდებიან ნაანარჩენ შემსვლელთა თანაბარ საფუძველზე.

კითხვა: როგორია უმაღლეს სასწავლებლებში იმათი მიღების წესი, ვინც სწავლა სამხედრო სამსახურში ნასვლის გამო შეწყვიტა?

პასუხი: ისინი ჩაირიცხებიან შესაბამის კურსსა და სწავლების ფორმაზე, რომლებიდანაც გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ამ შემთხვევაში ჩარიცხვა შესაძლებელია სასწავლო წლის დაწყების შემდეგაც — პირველი სემესტრის განმავლობაში, ამასთანავე პირველ კურსზეც, ისე, რომ არ ჩაბარონ დამატებითი გამოცდები.

კითხვა: შეიცვალა თუ არა მისაღები გამოცდების მოწყობის ვადები?

პასუხი: მიზანშეწონილად არის მიჩნეული რამდენადმე შეიცვალოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ვადები მხოლოდ იმათთვის, ვინც წარმოებას მოუწყვეტლივ შედის სასწავლებლად და სურს დაეუფლოს ისეთ მასობრივ პროფესიებს, როგორიცაა ინჟინერ-ტექნიკური, ინჟინერ-ეკონომიური და ა. შ.

დაუსწრებლად მოსწავლეთათვის გამოცდები რამდენიმე ნაკადად მოეწყობა — 15 მაისიდან 10 სექტემბრამდე, ხოლო საღამოს ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე შემსვლელთათვის — 11 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე. ეს შესაძლებლობას იძლევა დაუსწრებელ და საღამოს ფაკულტეტებზე სასწავლო წელი 1 ოქტომბრიდან დაიწყოს.

მიმდინარე წელს, თქვა დასასრულ ვ. ჰ. ელიუტინმა, უმაღლეს სასწავლებლებში ახალი დიდი შეგსება მოვა. ცნობილია, რომ ამ გაზაფხულზე საშუალო სკოლებს ერთდროულად ამთავრებენ მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეები, ეს კი, ბუნებრივია, გაზრდის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა კონკურსს. ამასთან დაკავშირებით უმაღლეს სასწავლებელთა მომავალ შეგსებას უფრო მეტად მოეთხოვება ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლის მთელი პროგრამის ცოდნა.

სკკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინათ მიღებული დადგენილება „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებელთა მარტო დღის განყოფილებებზე 404 ათასი კაცის მიღებას, რაც შარშანდელზე 34 ათასით მეტია. მიღების მნიშვნელოვან გაფართოებასთან დაკავშირებით სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, შეიქმნება ახალი და განმტკიცდება უკვე არსებული ფაკულტეტები და პირველ რიგში ეკონომიკის პროფილის ფაკულტეტები.

უმაღლეს სასწავლებლებში ახალი შეგსების მიღება — დიდნინშვნელოვანი ეტაპია მთის ნუშაობაში საჭირო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საწარმოებმა და დაწესებულებებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს.

(საკდესი).

საინტერესო მოვლენათა სამყაროში

„ციმგიერელი“ ლომი

აფრიკის ფაუნის ყველაზე დამახასიათებელი წარმომადგენელი ზამთრის სამ თვეს ცხოვრობდა ციმბირში ღია ცის ქვეშ მინუს ორმოცი გრადუსი ტემპერატურის დროს. იგი ჯანმრთელადაა და თავს შესანიშნავად გრძნობს.

ეს უნიკალური ექსპერიმენტი დიდტანიან ლომზე, რომელსაც „კიდიკი“ ჰქვია სახელად, განახორციელეს ნოვოსიბირსკის ზოოლოგიურ პარკში. „კიდიკი“ აქ დაიბადა სამი წლის წინათ. მისი დედ-მამა აფრიკელი მკვიდრნი იყვნენ.

„კიდიკი“ ცხოვრობდა გალიაში, მის შიგნით აშენებული იყო ფიცრის პატარა სახლი. ლომი თითქმის არ სარგებლობდა ამ თავშესაფრით, ხოლო როცა შიგ დაამწყვდიეს, მან ტორით რამდენჯერმე დამტვრია კარი და გარეთ გამოვიდა. 20-25 გრადუსი ყინვის დროს მხეცი შესანიშნავად გრძნობდა თავს.

ზოოპარკის დირექტორმა ზოოლოგ-ნადირთმცოდნემ ს. ერმაკოვმა აღნიშნა, რომ „კიდიკს“ სამ სხვა თანამოძმესთან შედარებით, რომლებმაც ზამთარი ფოთლის პავილიონში პლუს 25 გრადუსის პირობებში გაატარეს, გაცილებით უკეთესი მადა ჰქონდა. იგი ჭამდა ერთნახევარ ულუფა მოშუშულ ხორცსა და სხვა პროდუქტს. მოზამთრე ლომს ბეწვი გაუხშირდა და დაუგრძელდა.

ექსპერიმენტის შედეგებს სწავლობენ სპეციალისტები, ხოლო „კიდიკი“, აკლიმატიზაციაში წარმატებებისათვის შუა აზიაში მოძრავ გამოფენასთან ერთად გაგზავნეს.

„ფილარმონია“... ზურგჩანთაში

ლენინგრადელმა ინჟინერმა ვიქტორ სიეროროვმა პირველად შეაერთა მინიატურული რადიომიმღები და პორტატიული მაგნიტოფონი. მისი მაგნიტოლა, რომელსაც „ენთუზიასტი“ უწოდა, გათვალისწინებულია სეირნობისა და მოგზაურობის დროს. მაგნიტოლა თავისუფლად იტევა ზურგჩანთაში. ორიგინალური „კომბაინი“ 4,5 კილოგრამს იწონის.

„ენთუზიასტის“ მიმღები გრძელ და საშუალო ტალღებზე მუშაობს. მაგნიტოფონის ლენტის სიჩქარეა წამში 9,5 სანტიმეტრი, ჯასტში კი 100 მეტრი ფირი იტევა. ოთხ ზოლად ჩაწერის მეოხებით, დაკვრის დრო 72 წუთს უდრის. ჩაწერა შეიძლება უშუალოდ მიმღებიდან ან მიკროფონიდან.

სალაშქრო პირობებში მაგნიტოლა იკვებება „სატურნის“ ათი ბატარეით. მას შეუძლია აგრეთვე იმუშაოს ავტომობილის აკუმულატორის ან ელექტროსელის საშუალებით.

„ციური ოქვენ ეს?

„ციური ოქვენ ეს?“

„ციური ოქვენ ეს?“

„ციური ოქვენ ეს?“